სადაზღვევო კომპანიების განვითარება საქართველოში

ნანა გულიკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (სადაზღვევო საქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად სამაგისტრო პროგრამა

სადაზღვევო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა სრული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

თანახელმძღვანელი: თეა მახარაძე, სამედიცინო ფსიქოლოგიის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებულია სათანადო წესების შესაბამისად.“

ნანა გულიკაშვილი

19.06.2014

აბსტრაქტი

მსოფლიოს ეკონომიკურ ბაზარზე ერთ-ერთ უმსხვილეს მოთამეშეებს წარმოადგენენ სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც უდიდეს როლს თამაშობენ სახელმწიფოს განვითარებაში და მისი ეკონომიკური მდგომარეობის ჩამოყალიბებასა თუ გაუმჯობესებაში. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, დაზღვევა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მისი როგორც წარმატებული, დამოუკიდებელი და ეკონომიკურად მდგრადი ქვეყნის ჩამოყალიების პროცესში. დღესდღეობით საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია 14 სადაზღვევო კომპანია. დაზღვევის ისტორია და განვითარება საქართველოში იწყება 1990-იან წლებში და დღემდე მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოს სადაზღვევო სექტორის სამომავლო პოზიციონირებისათვის, არსებული მდგომარეობის გასამყარებლად და გასაუმჯობესებლად, რეკმენდაციების მიცემა რათა გაამყაროს პოზიციები და გახდეს მსოფლიო სადაზღვევო ბაზრის სრულფასოვანი წევრი, მსოფლიოში ცნობილი მაგალითებისა და კომპანიების გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოხდეს მისი სწრაფი და ეფექტური განვითარება. კვლევის შედეგებსა და მათ მნიშვნელობაზე დაყრდნობით, შემუშავებულია დასკვნა და რეკომენდაციები რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს სადაზღვევო ბიზნესის განვითარებას და პოპულარიზაციას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *საქართველო, სადაზღვევო ბროკერები, რეგულაციები, ინოვაციები, უსაფრთხოება.*